სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

07 მაისი 2026

GOV N 506/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსებისთვის ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით N86 ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 64-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თ) ქვეპუნქტის, 79-ე, 83-ე და 86-ე მუხლების, ასევე, შპს „მაგთიკომის“ 2026 წლის 06 თებერვლის N26/02/06-003 წერილითა და ტყითსარგებლობის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 05 მაისის N6952 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსებისათვის, ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 200 კვ.მ (ს/კ 87.05.28.266) მიწის ფართობი, მდებარე რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის, ჩოლურის სატყეოს N26 კვარტლის, N35 ლიტერში და N28 კვარტლის N30 ლიტერში.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითმოსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის N34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბესიკ ამირანაშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო